ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37.37221173**
თარიღი:**27/04/2022**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და საკრებულოს სამსახურეობრივი საჭიროებისათვის გამოყოფილი ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმაგრების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამსახურეობრივი საჭიროებისათვის გამოყოფილი ავტომობილის საწვავით უზრუნველყოფისათვის ყოველთვიური ლიმიტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 5 აპრილის Nბ37.37220951 ბრძანების შესაბამისად და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 28 მარტის (N36-362208716) წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული და საკრებულოს სამსახურეობრივი საჭიროებისათვის გამოყოფილი ავტოსატრანსპორტო საშუალება (VOLKSWAGEN Passat, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი QI-044-IQ) მიემაგროს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 30 მარტის (N37-372208914) წერილის საფუძველზე, მატერიალურ პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ალექსანდრე ღლონტი.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი